საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“

#06/70ო

ქ. თბილისი, 04 სექტემბერი 2014 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სსიპ „112“–დან გამოძახების შემოსვლიდან სსიპ „სსდ ცენტრში“

რეაგირების დროის სტანდარტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 12 დეკემბრის #01-46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის დებულების“ მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“, „ნ“ და „ო“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ „112“–დან საქმის მიღებისას, შესაბამისი თავისუფალი ბრიგადის არსებობის შემთხვევაში, ოპერატორის მიერ რეაგირება მოხდეს მყისიერად. სამედიცინო ბრიგადას გამოძახება უნდა გადაეცეს არაუმეტეს 2 წუთში. სამედიცინო ბრიგადა მიღებიდან არაუმეტეს 2 წუთში უნდა გავიდეს და გამოძახებაზე მისვლა უნდა განხორციელდეს გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით მაქსიმალურად მოკლე დროში. მისამართზე მისვლიდან პაციენტთან დაყოვნების მაქსიმალური დრო განისაზღვროს 45 (ორმოცდახუთი) წუთით. აღნიშნულზე მეტი დროით მისამართზე დაყოვნება ბრიგადას შეუძლია მხოლოდ საგანგებო შემთხვევების დროს, ცვლის უფროსთან შეთანხმების საფუძველზე, რაც უნდა აისახოს ცვლის უფროსის მიერ შედგენილ ყოველდღიურ მოხსენებით ბარათში. პაციენტის ჰოსპიტალიზაციის შემთხვევაში სამედიცინო ბრიგადის სტაციონარში დაყოვნების დრო არ უნდა აღემატებოდეს 10 წუთს, გარდა გაუთვალისწინებელი შემთხვევებისა, რომლებიც ასევე შეთანხმებული უნდა იქნას ცვლის უფროსთან.

2. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს ცენტრის დირექტორის 2014 წლის 01 მაისის #06/10–1ო ბრძანება „გამოძახების საფუძველზე სამედიცინო ბრიგადის მისამართზე მისვლიდან პაციენტთან დაყოვნების მაქსიმალური დროის განსაზღვრის შესახებ“.

3. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების სამმართველოს (მ. ვეფხვაძე) წინამდებარე ბრძანება გააცნოს ცენტრისა და მისი სტრუქტურული ერთეულების ყველა შესაბამის თანამშრომელს;

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი #6).

ცენტრის დირექტორის მ/შ: თეიმურაზ ხარაშვილი